

რეცენზია

BOOK REVIEW

შუქია აფრიდონიძე. მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 333 გვ.

2023 წლის გაზაფხულზე გამოიცა პროფესორ შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“. ამ წიგნით საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის სერიას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, ქალბატონი შუქია თავისი წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო. წიგნის პრეზენტაცია მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გაიმართა, 25 აპრილს, ქალბატონი შუქიას დაბადების დღეს.

ისე გამოვიდა, რომ ბოლო საუბარი შუქია აფრიდონიძესთან სწორედ სახელური მიმართვის ფორმების შესახებ გვექონდა; კერძოდ, იმ საკითხებზე, თუ როგორაა წარმოდგენილი მიმართვის ფორმები ბერძნულსა და ქართულში, სწორედ მაშინ გამიზიარა ქალბატონმა შუქიამ ის დაკვირვება, რომელსაც ახლა მონოგრაფიის პირველი ნაწილის პირველ თავში ვკითხულობთ, სადაც გაშლილია მსჯელობა ანთროპონიმების შესახებ:

„ქართულში საზოგადო და საკუთარ სახელთა ვოკატივი ავლენს ორ ტენდენციას: ნებისმიერი სიგრძის თანხმომავანზე ფუძეგათავებულ აპელატივებს ო ხმოვანს ურთავს, ორ- ან მეტმარცვლიან ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელებს კი უცვლელად ტოვებს, ან შეიძლება ვ თანხმომავანი დაურთოს. ასე აღწევს ენა ბუნებრივ რიტმულ ბალანსს. ისიც ჩანს, რომ ქართული ვოკატივი გაურბის ერთმარცვლიანობას და ისწრაფვის მეტი ვოკალიზაციისკენ, რაც მთავარია, **ხმოვანი აუსლაუტისკენ**“ (გვ. 36). ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ბერძნულ მამაკაცის სახელთა დამკვიდრება ქართულში ვოკატივის ხმოვანდაბოლოებიანი ფორმით: **პეტრე, პავლე, ივანე, თომა, ლუკა** და სხვ. ს. ყაუხჩიშვილი ამ ფაქტს ისტორიულად ბერძნულ-ქართული ენობრივ-კულტურული ურთიერთობის ზეპირი ტრადიციების არსებობით ხსნის, - წერს ავტორი, - მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ზეპირი კონტაქტებიც ძველი ქრისტიანული სამყაროს სხვა წევრებთან. შუქია აფრიდონიძე შენიშნავს, რომ ორგანული მხოლოდ ქართულისთვის აღმოჩნდა ხმო-

ვნით დაბოლოებული ვოკატივის ფორმები არა საკუთრივ ვოკატივში, არამედ სხვა ბრუნვებშიც; და ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ თვით ფორმა **ქრისტე** (ბერძნული Christos-ის ვოკატივის ფორმა) მხოლოდ ქართულს შემორჩა ზეპირი გზით გავრცელებული წოდებითი ბრუნვის ფორმით (გვ. 36-37).

სპეციფიკური ვოკატიური ფორმების არსებობა – ეს ის ნიშანია, რომლითაც ქართული ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან, – აღნიშნავს მკვლევარი და იქვე დასძენს, რომ სწორედ სპეციფიკური ვოკატიური ფორმები გვევლინება ქართულში მიმართვების ლექსიკური გამდიდრების მასტიმულირებელ წყაროდ. მიმართვების ეს თემატური ჯგუფი ყველაზე ვრცელია და მოიცავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ადამიანთა ნათესაური თუ სოციალური ურთიერთობის (კერძოდ, ხელობა-თანამდებობისა და წოდების) ამსახველ სახელებს.

ტერმინით – მიმართვის ფორმა, როგორც თავად ავტორი განმარტავს, მრავალფეროვანი შინაარსი გამოიხატება: „**მიმართვა** შეიძლება გავიგოთ არა მარტო როგორც **მოსმობა** ან **მოწოდება** სახელით გამონათული სულიერისა თუ მასთან გათანაბრებული უსულო საგნისადმი, არამედ როგორც **მოწოდება** ამა თუ იმ მოქმედებისაკენ“ (გვ. 67). შესაბამისად, მიმართვის ფორმა არ მოიცავს მხოლოდ სახელურ მიმართვებს (წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელებს, იგივე ვოკატივებს: **შვილო, ძმაო, შე დალოცვილო, შე ეშმაკისფეხო, თქვენო უდიდებულესობავ...**, ის მოიცავს ზმნური მიმართვების ბრძანებით ფორმებს - იმპერატიულ მიმართვებს (სადაც მეორე პირის ფორმები ემთხვევა მეორე სერიის წყვეტილს: **იყავ > იყავი, უთხარ > უთხარი, ადექ > ადექი, იხსენ > იხსენი...**), და კითხვით მიმართვებს - ინტეროგატიულ მიმართვებს, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია ორ ჯგუფად - სპეციალურ, კითხვითი სიტყვების შემცველ კითხვებად (მაგალითად, **სად იყავი?, ვინ მოვიდა?**) და ზოგად კითხვებად, რომლებიც „კი“ ან „არა“ პასუხს მოითხოვს.

შუქია აფრიდონიძე აქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მიმართვათა ჩამონათვალში პირობითად შეიძლება ასევე გამოიყოს ელიფსიის შედეგად მიღებული ე.წ. სასიგნალო მიმართვები მოწოდება-მოსმობის ფუნქციით, რომელთაც ახასიათებს თხრობითი კილოსაგან აშკარად გამორჩეული ტონის სიმაღლე და მომდევნო პაუზა (**სდექ! სწორდი! ფრთხილად!** და სხვ.)

მიმართვის ფორმების ეს კლასიფიკაცია ცხადყოფს, თუ რამდენად დიდია განხილული მასალა და რაოდენ მრავალშრიანია სამეცნიერო კვლევა, რომელიც წარმოდგენილია ამ ინტერდისციპლინური ხასიათის ნაშრომში.

ახალი ქართულის მასალას (ილუსტრაციები მოყვანილია ქართული ლიტერატურიდან) ავსებს ძველი ქართულის მონაცემებიც. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „გზადაგზა წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო გახდა ენის ისტორიის ცალკეული საკითხების გათვალისწინებაც. და ამასთან, რაკი მიმართვა დიალოგური მეტყველების სპეციფიკური კომპონენტია, რიგ შემთხვევაში მოხმობილია დიალექტოლოგიური მასალის მონაცემებიც“ (გვ. 13).

მიმართვის ფორმათა აღწერა-ანალიზის პროცესი ითვალისწინებს ფონეტიკური (შესაბამისად, რიტმულ-ინტონაციური), მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და პრაგმატიკული საკითხების მიმოხილვას. აქედან გამომდინარე, ამ მონოგრაფიას მრავალმხრივი ღირებულება აქვს როგორც მორფოსინტაქსური და ლექსიკური, ასევე სოციოლინგვისტური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეძღვნება მიმართვის ფორმათა სტრუქტურას, მეორე ნაწილი კი – მიმართვის ფორმათა ფუნქციონირებას, ადრესანტ-ადრესატის ურთიერთობის სოციოლინგვისტურ ასპექტებს.

ნიშანდობლივია, რომ პირველ ნაწილში – მიმართვის ფორმათა სტრუქტურა – ავტორი მსჯელობს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ქართული მიმართვების ფორმირების საკითხს. ასეთია, მაგალითად, რედუცირების საკითხი მახვილის გავლენით და ზოგადად მიმართვებთან დაკავშირებული რიტმიკულ-ინტონაციური საკითხები. ქართულში რედუცირებული მიმართვების ფორმები მრავლად დასტურდება: **ქა, ჯო, ჭირიმე, ადე, აიყვა, ასწი, გამო** და ა.შ. რედუცირებული იმპერატიული ზმნური ფორმის საინტერესო მაგალითი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, მოვე!“ (გვ. 94-94).

აქვე გამოყოფდი მონაკვეთს კლიტიკების შესახებ, სადაც ავტორი მსჯელობს ენაში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებზე, როდესაც ხდება არა მხოლოდ სიტყვათა ინტონაციურ-აქცენტუაციური შერწყმა, არამედ სიტყვების სრული ლექსიკალიზაცია და ახალი ლექსემების შექმნა. „შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ ერთ სიტყვად ჩამოყალიბდა ახალი სიტყვა „არადა“, – წერს ავტორი, – რომელიც შემჭიდროებული სავარაუდო ვარიანტია გამოთქმისა „ის კი არა და.“ ასეთივე პერსპექტივა უჩანს არაერთ ამჟამად ორ სიტყვად ხმარებულ ერთეულებს: **მით უფრო, მით უმეტეს, არც ერთი, ვერც ერთხელ** და სხვ.“ (გვ. 163).

პირველ ნაწილში ასევე განხილულია ფორმაუცვლელი სიტყვების გამოყენების შემთხვევები მიმართვებთან (**მითხარი, აბა! მოდი**

ერთი!..), პერიფერიული ლექსიკისა და სიტყვათწარმოების საკითხები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რა კანონზომიერება იჩენს თავს ახალი დერივაციული მიმართვის ფორმების გაჩენისას, როგორია ხმაბაძვითი ლექსიკის როლი სახელდებისა და, შესაბამისად, მიმართვის ფორმების წარმოებაში (**სისინა, ჭრიჭინა...**), რა თავისებურებებს ამჟღავნებს ე.წ. საბავშვო სიტყვები მიმართვებში (**წიპა, ჭიტა, ბუა...**) და სხვ. მკითხველს საშუალება ეძლევა, თვალი გაადევნოს ენაში მიმდინარე ცვლილებათა ტენდენციებს და გაეცნოს ამ ტენდენციების ლინგვისტურ შეფასებას, შეფასებას ენის ისეთი ფაქიზი მკვლევრისა, როგორც ქალბატონი შუქია აფრიდონიძეა.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი მთლიანად პრაგმატიკული ხასიათისაა. ავტორი აღნიშნავს, რომ მიმართვის ფორმათა გამოყენება და დიფერენცირება ეფუძნება ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთმიმართებას და სწორედ ამ მიმართების საფუძველზე განისაზღვრება მიმართვების ძირითადი ფუნქციები – დენოტატიური და ორნამენტული.

დენოტატიური მიმართვების ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული ენისთვის დამახასიათებელი მიმართვები, რომლებსაც მკვლევარი უკუქცევით მიმართვებად მოიხსენიებს. ეს არის უფროსი თაობის უმცროსი თაობისადმი მიმართვები, რომლებიც ვარიანტული სახითაა წარმოდგენილი: დედა შვილს შვილოსაც ეძახის და დედასაც (გვ. 172).

მიმართვების, როგორც კომუნიკაციის, დიალოგური მეტყველების აუცილებელი ელემენტების, კვლევისას წარმოჩნდება ის სოციალურ-კულტურული შრეები, რომლებიც დროთა განმავლობაში დალექილა ქართულ ენობრივ ცნობიერებაში და ფორმაცვალებადი თუ ფორმაუცვლელი სახით ენობრივ ფაქტად შემონახულა.

იცვლება დრო, იცვლება სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციები, საზოგადოების სოციალური იერარქია, წესები და ეს ცვლილებები ირეკლება ენაშიც. მკითხველისთვის უდავოდ საინტერესოა დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იცვლება ენობრივი ფაქტები ჩვენ თვალწინ და როგორ იცვლებოდა ისინი დროის ქრილში, საზოგადოების სოციალური იერარქიის კონტექსტის გათვალისწინებით – დაწყებული ნათესაური ურთიერთობებითა და დამთავრებული სამსახურებრივი უფროს-უმცროსობის იერარქიით.

მიმართვის ფორმათა ანალიზი იმ არქაული რწმენა-წარმოდგენების დანაშრევსაც ამოატივტივებს, მთის ხალხების ტრადიციებში სახელის ტაბუსთან რომაა დაკავშირებული და საკუთარი სახელისთვის მაგიური ძალის მინიჭების ტრადიციას რომ ეხმიანება. ქართველ

ეთნოლოგთა აღწერილი მასალის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ცოლ-ქმარი არათუ ერთმანეთს, ერთმანეთის და-ძმასა და მშობლებსაც კი ვერ მიმართავდნენ სახელით ან ამ სახელის შემცველი შესიტყვებით, მაგალითად, ქმრისეულ მიმართვებში ჭარბობდა აქელატივები მიმართვის დროსაც (**დიაცო, ბებერო, სახლობავ**) და მიუმართავად ხსენების დროსაც – **ჩემ დიაც, ჩემ ჯალაფ**.

როგორც შუქია აფრიდონიძე შენიშნავს, საგულისხმოა, რომ საკუთარი სახელის აკრძალვა უფრო ვრცელდებოდა ქალთა მეტყველებაზე და, შესაბამისად, პარაფრაზული მეტყველების ძირითადი შემოქმედნი იყვნენ ოჯახში რძლად მოყვანილი ქალები: „გ. თედორაძის წიგნიდან „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ ჩანს, რომ მამამთილის სახელის სახსენებლად რძალი აღსაწერად იყენებდა მაზლის სახელს, ვთქვათ, ასე: „**ვაჟას მამავ!**..“ დაძახება-მოხმობისას თუშეთში ქალი ქმარს სხვადასხვანაირად მიმართავდა: „**ეგე კაცო**“, მაზლს – „**ბიჭო**“ ან „**ვაჟავ**“, მულს – „**ქალო**“, „**მარწყო**“ (წითელი ლოყების გამო), „**თეთრო**“ (თეთრი პირისახის ქალისადმი მიმართვისას)“ (გვ. 178-179).

ყველაზე მკაფიოდ, ავტორის დაკვირვებით, ცოლქმრული ურთიერთმიმართვების ფორმებია გამოკვეთილი. ქართველური ენების მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მეუღლის სახელზე ტაბუს დადების ტრადიცია საერთო ქართველური ენობრივი მოვლენა ჩანს (მაგალითად, აჭარაში ცოლ-ქმრის მიერ ერთმანეთისთვის სახელით მიმართვა სათაკილოდ მიიჩნეოდა; **სახელიში ფულუა (სახელის დამალვა)** – ასე უწოდებდნენ ამ აკრძალვას სამეგრელოში (გვ. 180), და შეიძლება საერთო კავკასიურ მოვლენადაც კი იქნეს განხილული.

მოწოდება-მოხმობის ფორმათა გამოყენების საკითხებზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სამეტყველო ეტიკეტის საკითხებს. ქართული სამეტყველო ეტიკეტის პრობლემებს მეორე ნაწილის მესამე თავი ეძღვნება: „მეტყველების ეტიკეტი და მისი მექანიზმები ქართულში“. სისტემურობა და კანონზომიერი ხასიათი – ეს ის თვისებებია, რომლებიც, ავტორისეული შეფასებით, ქართული სამეტყველო ეტიკეტისთვისაა ნიშნული: „ქართული ვერბალური ეტიკეტი მიმართვის გამოთქმებში ცალკეული და გაბნეული ფორმულების გროვას კი არ წარმოადგენს, არამედ ქმნის ერთიან მწყობრ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, ქვესისტემებისგან შედგება;“ – წერს შუქია აფრიდონიძე (გვ. 216), და იქვე წარმოგვიდგენს, თუ რა გზა გამოიარა ქართული მიმართვის ფორმებმა, მაგალითად, მეფისა და ღვთისადმი შენობითი მიმართვიდან („**ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა**“, „**მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისად დარე**

ბით...“) თქვენობითამდე (თქვენო კეთილშობილებავ, თქვენო ბრწყინვალეობავ), ანდა როგორ შემოდის და რისი ანალოგი შეიძლება იყოს ნორმატიულად უმართებულოსუფიქსიანი ფორმები ენაში ე.წ. „პატივისცემის მრავლობითის“ საჩვენებლად: **ბოდიშით, ხალხნოთ, კარგით...** და ა.შ.

წიგნში ყურადღებას იქცევს ცალკეული მიმართვის ფორმების ფუნქციონირების სოციალურ-კულტურული კონტექსტები. მაგალითად, სიტყვა „ბატონის“ გამოყენების არეალი და ამ ლექსემის სემანტიკური ცვლილებები: მისი დესემანტიზაცია, ახალი სემანტიკით აღჭურვა, გენდერული ნიშნით გამორჩევა...

„ძვირფასო და საყვარელო **ბატონო მარჯორი**“, – ივანე მაჩაბლის მეუღლე ტასო მაჩაბელი ასე მიმართავდა მარჯორი უორდროპს. „ჩემო დიდად პატივცემულო **ბატონო ეკატერინე**“, – სწერს თედო სახოკია ეკატერინე გაბაშვილს. „მიმართვის ასეთი ფორმა არ არის ამა თუ იმ ადრესანტის პიროვნული აჩემება, უბრალოდ ფორმამ „ქალბატონო“ უფრო გვიან მოიკიდა ფეხი ადრესატის სქესის ხაზგასასმელად, – ასეთ ახსნას უძებნის სიტყვა ბატონის ქალისადმი მიმართვის ფორმად გამოყენების ფაქტს ავტორი (გვ. 200-201).

თავაზიანობის ფორმების განხილვისას შუქია აფრიდონიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზმნური მიმართვის წყვილულ ფორმებს, რაც ქართული ენის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს: ქართულში, როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ჭრილში, მოქმედებს ზმნურ მიმართვებზე დაფუძნებული ეტიკეტური მეტყველების მკაფიოდ გამოხატული სისტემა, რომელიც გულისხმობს მეწყვილე ზმნების არსებობას: **ბრძანდებით – გახლავართ, მობრძანდით – გეახელით, ბრძანეთ – მოგახსენეთ** და ა.შ. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „თავაზიანობის გამომხატველი ზმნები მომდინარეობს ისტორიულად წინმსწრები სოციალური უთანასწორობის ხანიდან, სახელდობრ იმ ეპოქიდან, როცა საპირისპირო წრეთა არათანაბარმა სოციალურმა ვითარებამ ბუნებრივად მეტყველებაშიც პოვა ასახვა და ჩამოყალიბდა თავისებური „**მეტყველების ეტიკეტის**“ სახით, რომელიც კულტურული ტრადიციების მქონე ხალხების ცხოვრებაში ბუნებრივად შექმნილა“ (გვ. 267).

ნაშრომის ბოლო თავში თავმოყრილია სალიტერატურო ენის ნორმების ტიპობრივი დარღვევები მიმართვის ფორმების გამოყენების დროს და პრაქტიკული დანიშნულების რჩევა-რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ყოველდღიურად გვჭირდება ქართული ენის ფუნქციონირების ნებისმიერ სფეროში. ეს თავი მოიცავს ანთროპონიმთა ბრუნების მართლწერის, საეკლესიო მიმართვის ფორმათა

მართებული გამოყენების, მრავლობითობის სწორი გამოყენების საკითხებს, მოკლედ, ქალბატონი შუქიას იმ ფასეულ რჩევებს, რომლებიც უკვე ძალიან დაგვაკლდა ყოველ ჩვენგანს.

დაბოლოს, ვის უხმობს ეს წიგნი? ის უხმობს ყველას, მეცნიერს, სწავლის მძებნელს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ენა, ვისაც აღელვებს ქართული ენისა და ქართული ენათმეცნიერების მომავალი და უბრალოდ ნებისმიერ მკითხველს, ვისაც გაუჩნდება სურვილი, ენობრივი პრიზმიდან გახედოს ჩვენს სამყაროს. ეს წიგნი არის ის გამორჩეული ხმა, რომელიც დაუტოვა ქალბატონმა შუქიამ ქართულ მეცნიერებას.

თამარ სუხიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი ABSTRACT

Shukia Apridonidze. The Structure and Functioning of Forms of Address in Modern Georgian. Tbilisi: Ilia State University Press, 2023, 333 pp.

First published in 2023, the monograph by Professor Shukia Apridonidze, “The Structure and Functioning of Forms of Address in Modern Georgian” is the first work in Georgian to present a reinterpretation of the notion of address and to treat the theme in detail through theoretical analysis and offering practical recommendations. This publication launched the book series “The Library of Kartvelian Studies” at Ilia State University.

The forms of address incorporate not only vocative forms of nouns, but also verbal forms (imperatives), as well as interrogative forms (both special and general questions). Ellipted or signaling forms are also added to the list.

“Although the purpose of the work is to study the structure and functioning of diverse forms of address in modern Georgian, the history of the language has naturally had to be taken into account in order to find a more or less satisfactory answer to various questions”, the author says (p. 308).

Linguistic data of the regional dialects are also elaborated. The monograph consists of two parts: Part 1: The Structure of Address Forms, and Part 2: Functioning of the Forms of Address. The Relationship of the Addresser and Addressee.

The study of the forms of address focuses on phonetic (consequently rhythmic and intonational), morphological, syntactic, lexical and pragmatic issues. As such, the monograph presents a comprehensive description and detailed analysis of a number of questions dealing directly or indirectly with the problems of structure, meaning, function and utilization of the address forms.

“In describing some questions of the communication relation between the addresser and addressee, sociolinguistic and culturological aspects predominate,” Professor Apridonidze notes (p. 326), going on to describe how social-political and cultural changes have been reflected in the language.

Special attention is given to the tendencies which are language specific, i.e. putting the taboo on proper nouns, specific forms of address used by parents

for their children, Georgian speech etiquette peculiarities, and more. The last chapter covers normative questions on the use of forms of address in the standard language, and provides recommendations for Georgian language users.

This book is essential reading for scholars, students, amateurs, and for all those who show even a slight interest in the Georgian language and Georgian linguistics. The monograph preserves the distinguished voice of Professor Shukia Apridonidze, a prominent Georgian scholar, and is a valuable contribution to Georgian scholarly research.

Tamar Sukhishvili

Ilia State University